დანართი №1

დამტკიცებულია
შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“
დირექტორის 202-- წლის ---- ---------
№------- ბრძანებით

შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვის და ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში - **„კოლეჯი“**).
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – (შემდგომში -**„პროგრამა“**) ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - (შემდგომში - **„მასწავლებელი“**) პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სწავლებას კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე.
დ) პროფესიული სტუდენტი ან მსმენელი - (შემდგომში - **„სტუდენტი/მსმენელი“**) პირი, რომელიც დადგენილი პროცედურების გავლის (პროფესიული ტესტირება, ან კოლეჯის შიდა ტესტირება, ან გასაუბრება, ან აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში დამატებით შიდა კონკურსი) და რანჟირების დოკუმენტში ასახვის შემდგომ ჩაირიცხა კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე.
ე) შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის“ დირექტორი (შემდგომში - **„დირექტორი“**).
ვ) შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის“ დირექცია/ადმინისტრაცია (შემდგომში - **„დირექცია/ადმინისტრაცია“**).
ზ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული აქტი (შემდგომში - **„ბრძანება“**).

მუხლი 2. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შეიქმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვის და ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესს.

მუხლი 3. წესის მიზანი

1) წესის მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ხელს უნდა უწყობდეს კოლეჯის მიზნების შესრულებას, კერძოდ:

ა) კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
ბ) სასწავლო პროცესის ფარგლებში სტუდენტის/მსმენელის სამეწარმეო უნარებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობას;
გ) სასწავლო პროცესში ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირებით სტუდენტთა/მსმენელთა მომზადების ხელშეწყობას;

2) წესის მიზანია ხელი შეუწყოს რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებას გარემოზე და ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების ეფექტიანი მართვით გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვა

1) კოლეჯი უფლებამოსილია:
ა) მოახდინოს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მხოლოდ დასრულებული პროდუქტის რეალიზაცია;
ბ) განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა და მიიღოს შემოსავალი მხოლოდ ისეთი აქტივობებიდან, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე.
2) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა ხორციელდება კოლეჯში ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.
3) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის აღრიცხვას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი სასწავლო დარგში, რომელიც პროდუქტს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელს.
4) კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი მითითებულ პროდუქტს ათავსებს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.
5) საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის რეალიზაციის და მოსახურების განხორციელების შესახებ.
6) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის რეალიზაციიდან და გაწეული მოსახურებიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ წიანამდებარე წესის მე-3 - მუხლით განსაზღვრულ მიზნებს.

მუხლი 5. ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა

1) ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის ძირითადი პრინციპებია, ნარჩენების მართვა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანისათვის ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ ნარჩენების მართვამ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს (წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორასა და ფაუნას).
2) ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა ხორცილდება შემდეგი პროცედურების დაცვით:
ა) ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება (სახიფათო და მუნიციპალურ ნარჩენებად);
ბ) სახიფათო ნარჩენების ეტიკეტირება, შესამის კონტეინერებში განთავსება. სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვა კოლეჯის ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე უსაფრთხოების წესებით დაცვით;
გ) უსაფრთხო ნარჩენების განთავსება მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში;
დ) შენახული სახიფათო ნარჩენების უტილიზაციისთვის გადაცემა საამისოდ უფლებამოსილ სამსახურზე.
3) ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების შეგროვებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პროგრამის/მოდულის მასწავლებელი.

4) ამ წესის მე-4-ე მუხლში მითითებულ აქტივობების სათანადო შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი.
5) ამ წესის მე-4-ე მუხლში მითითებული პირობების შესრულებაზე კონტროლი ეკისრება კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1) წინამდებარე წესში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით კოლეჯის საჭიროებებიდან გამონდინარე ან/და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე.